ხელშეკრულება № 1
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 29 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი სამგურალი"(შემდგომში ,,შემსყიდველი') წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა სოფრომაძის სახით, ს/კ 421268014 და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი იმედა ბოკელავაძე (შემდგომში" მიმწოდებელი"), ს/კ 53001017855, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" წესის მე-2-ე და მე-10-ე მუხლების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. იურიდიული მომსახურებების შეძენა.
კლასიფიკატორის CPV კოდი - 79100000

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 800 (რვაასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი .

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება „შემსყიდველის" მიერ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები.

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება „შემსყიდველის" მიერ მითითებულ მისამართზე.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად „მიმწოდებელი" ვალდებულია, უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის" (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში - საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 15 მარტამდე.

6.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.

7.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას , რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1."შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.2."შემსყიდველი" უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება.

8.3.„შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.4.„მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9..1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

მუხლი10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არა უმეტეს 10%-ისა.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10..5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1.ხელშკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას რომელიმე მხარის მიმართ თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 13. ხელშკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

13. 1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა ,ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებუ ლი შემთხვევებისა.

13.4.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება.

14.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
14.2.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

15.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
15.2. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 15.1 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
15.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სხვა პირობები.

17.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯით და რისკით.
17.2. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელნი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.
17.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.
17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ საფეხბურთო კლუბი სამგურალი“
ს/კოდი 421268014

მისამართი: ქალაქი წყალტუბო.
26 მაისის ქუჩა # 2

მომსახ. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

კოდი TRESGE22
ანგარიშის ნომერი 74495750

დირექტორი: ზ. სოფრომაძე

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი იმედა ბოკელავაძე
ს/კოდი: 53001017855

მისამართი: ქალაქი ქუთაისი.
ჯავახიშვილის ქუჩა # 26
მომხ. ბანკი: სს „თიბისი ბანკის“ ქუთაისის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: GE39TB7109345063600032

Football Club Samgurali
Digitally signed by Football Club Samgurali
Date: 2019.02.07 15:37:08 +04'00'

ფიზიკური პირი: ი. ბოკელავაძე